ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა N 32

ქ.დუშეთი 24.04.2023წ.

ერთის მხრივ, ა(ა)იპ „დუშეთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამსახური“ ს/კ 429320790 (შემდგომში-შემსყიდველი), წარმოდგენელი მისი დირექტორის გოდერძი შერმადინის სახით და მეორეს მხრივ, შპს „დუშეთის დეზინფექციის სამსახური“ ს/კ229278082(მიმწოდებელი),წარმოდგენილი დირექტორის მარინა ავლახაშვილის სახით სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს N13 ბრძანების მე-2 მუხლის ა) პუნქტის მიხედვით ვდებთ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ წინამდებარე ხელშეკრულებას.

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანია CPV -90921000 დეზინფექცია, დეზინსექციის; CPV -90923000 დერატიზაცის; CPV -90922000 ქვეწარმავლებთან და მღრნელებთან დაკავშირებული მომსახურების შეძენა:

მომსახურების ობიექტის დასახელება	განზომილება	გასაწევი მომსახურებისო ბიექტის რაოდენობა	2023 წელში მომსახურების ჯერადობა	ერთეულის ღირებულება (ლარი)	საერთო ღირებულება
დაბა ფასანაურის ტერიტორიაზე განლაგებული ნაგვის მოძრავი კონტეინერების დეზინფექცია და დეზინსექცია	ცალი	17	4	3.30	224.40
დაბა ჯინვალის ტერიტორიაზე განლაგებული ნაგვის მოძრავი კონტეინერების დეზინფექცია და დეზინსექცია	ცალი	35	5	3.30	577.50
ქ. დუშეთის ტერიტორიაზე განლაგებული ნაგვის მოძრავი კონტეინერების დეზინფექცია და დეზინსექცია	ცალი	170	5	3.30	2805
ქ. დუშეთის ტერიტორიაზე მღრნელების საწინააღმდეგო სამუშაოები	კვ.მ	2000	1	0.25	500
ქ. დუშეთის ტერიტორიაზე ქვეწარმავლების საწინააღმდეგო სამუშაოები	კვ.მ	2000	1	0.30	600

მუხლი 2. ხელშეკრულების საგნის ღირებულება

2.1 ხელშეკრულების საერთო ღირებულება მოიცავს მომსახურების შესყიდვასა და მიწოდებასთან დაკავშირებულ ანაზღაურებას საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა სახის გადასახადისა და მოსაკრებლის ჩათვლით **4706,90**(ოთხი ათას შვიდას ექვსი ლარი და ოთხმოცდათი თეთრი) **ლარი.**

მუხლი 3. მიღება-ჩაბარება, ანგარიშწორება და მომსახურების წესი

3.1 საქონლის მიღება დასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლობის მიერ მიღება-ჩაბარების აქტით ან/და ანგარიშფაქტურით.

3.2 მიმწოდებელთან ანგარიშწორება ხდება უნაღდო ანგარიშწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

3.3 ანგარიშწორება განხორციელდება საქონლის მიღება-ჩაბარების აქტის ან/და ანგარიშფაქტურის გაფორმებიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში.

3.4 მომსახურების გაწევის ვადა: ხელშეკრულების გაფორმებიდან 2023 წლის 30 ნოემრის ჩათვლით. მომსახურების გაწევის კონკრეტული დრო განისაზღვრება მხარეთა შეთანხმებით, შემსყიდველის მოთხოვნის გათვალისწინებით.

3.5 მომსახურების განხორციელების ადგილი: ცხრილში მოცემული ნაგვის მოძრავი კონტეინერების დეზინფექცია და დეზინსექცია ხორციელდება შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში შემსყიდველის მიერ მითითებულ ნაგვის კონტეინერებზე. ხოლო დერატიზაცია და ქვეწარმავლების საწინააღმდეგო სამუშაოები ხორციელდება ქ.დუშეთში შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ ტერიტორიაზე. ხელშეკრულებაში მოცემული დერატიზაციის და ქვეწარმავლების საწინააღმდეგო სამუშაოსთვის განსაზღვრული ტერიტორია შესაძლოა დაიყოს ორ ნაწილად და მოხდეს მათი ორჯერ დამუშავება.

მუხლი 4. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

4.1 შემსყიდველი უფლებამოსილია:

ა)ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;

ბ)გამოითხოვოს მიმწოდებლისგან ხელშეკრულების პირობების შესრულებასთან დაკავშირებული დოკუმენტები;

4.2 მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

4.3 მიმწოდებელი ვალდებულია:

ა)ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები.

ბ) ხელშეკრულებით გთვალისწინებული მომსახურების განხორციელებისას გამოიყენოს სათანადო საშუალებები.

მუხლი 5. გადასახადები და დაბეგვრა

5.1 მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახადების გადახდაზე.

მუხლი 6. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისთვის

6.1 ხელშეკრულების ნაკისრი ვალდებულბების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემდეგ მიყენებული ზარალისთვის მხარეების ერთმანეთის წინაშე პასუხს აგებენ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

6.2 იმ შემთხვევაში თუ მიმწოდებელი არ შეასრულებს შესასრულებელ ვალდებულებას შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება ცალმხრივად ან/და დააკისროს 6.3 და 6.4 პუნქტით დაკისრებული პირგასამტეხლო.

6.3 ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების ვადის დარღვევის და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო შეუსრულებელი სამუშაოს 0.2 %-ის ოდენობით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. ხოლო ვალდებულების საერთოდ შეუსრულებლობის შემთხვევაში სახელშეკრულებო ღირებულების 20 %-ის ოდენობით.

6.4 იმ შემთხვევაში თუ ვადის გადაცდენისთვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 5 %-ს, შემსყიდველს აქვს უფლება შეწყვიტოს ხელშეკრულება და მიმწოდებელს დამატებით დააკისროს პირგასამტეხლო სახელშეკრულებო თანხის 20 %-ის ოდენობით.

6.5 პირგასამტეხლოს გადახდა ან ხელშეკრულების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულების შესრულებისაგან.

7. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

7.1 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

7.2 ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

7.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.

7.4 ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

7.5 ხელშეკრულება ასევე შესაძლებელია შეწყდეს მხარეთა ინიციატივით ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

8. დაუძლეველი ძალა (ფორს მაჟორი)

8.1 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი, გარდა 8.3 პუნქტით გათვალისწინებული მდგომარეობისა.

8.2 ამ მუხლის მიზნებისთვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისთვის გადაულახავ და მათი კონტროლისგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული მხარეებზე და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საქონლის მოწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საკანონმდებლო რეგულაციებით და სხვა.

8.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება, ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების დადგომის და ხანგძლივობის შესახებ. თუ მხარე მეორე მხარისგან არ მიიღებს წერილობით პასუხს - თანხმობას „ფორს-მაჯორი“-ს დადგომის შესახებ, იგი აგძელებსხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

8.4 მხარეების მიერ ფორს-მაჟორი-ს დადასტურების - აღიარების შემთხვევაში ხელშეკრულებით გალვალისწინებული ვალდებულებების შესრულება მხარეთა წერილობითი შეთანხმებით შეიძლება გადაწეულ იქნას ფორს-მაჟორის ხანგძლივობის ვადით.

9. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

9.1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 10. სხვა პირობები

10.1 ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი სხვა საკითხები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

10.2 მხარეთა შორის მიმოწერა ხორციელდება ქართულ ენაზე.

10.3 ხელშეკრულება შედგენილია ორ ეგზემპლარად, ორივეს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან.

10.4 ხელშეკრულება ძალაშია მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2023 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

მიმწოდებელი: **შპს „დუშეთის დეზინფექციის სამსახური“ მის: ქ. დუშეთი, სტალინის N27 ს/კ 229278082 სს ლიბერთი ბანკი ბ/კ LBRTGE22** **ა/ნ GE20LB0113138555545000** **დირექტორი:** **მარინა ავლახაშვილი** Подписано цифровой подписью: Marina Avlakhashvili Дата: 2023.04.27 15:46:58 +04'00'	**შემსყიდველი:** **ა(ა)იპ “დუშეთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამსახური” მისამართი ქ. დუშეთი კოსტავას ქ#23; ს/კ 429320790; ბანკი სახელმწ.ხაზინა; ბ/კ TRESGE22** **ა/ნ GE24NB0330100200165022** **დირექტორი:** **გოდერძი შერმადინი** NNLE Dusheti Municipality Amenity service Digitally signed by NNLE Dusheti Municipality Amenity service Date: 2023.04.28 11:05:14 +04'00'